



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #56

სექტემბერი, 2016

გამოშვებაში
წაიკითხავთ

**„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ კორპორაცია
„მაიკროსოფტის“ პროექტებისთვის სერვისის
ოფიციალური მიმწოდებელი გახდა**

- 1 „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ - „მაიკროსოფტი“ - შეთანხმების გაფორმება
- 2 ერთიანი ბიზნეს-მომსახურების სივრცე - „ბიზნეს სახლი“
- 3 „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მალაჩიის დელეგაცია ესტუმრა
- 3 „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებთან შეხვედრები გამართა
- 3 ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებში
- 4 რეგიონებში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვა გრძელდება



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ და კორპორაცია „მაიკროსოფტმა“ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ კორპორაცია „მაიკროსოფტის“ პარტნიორი და ამავე კორპორაციის გლობალური პროექტებისთვის სერვისის ოფიციალური მიმწოდებელი გახდა. ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ენიჭება

უფლებამოსილება კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს „მაიკროსოფტის“ გლობალური პროექტების განხორციელებას.

ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოში, როდესაც მულტინაციონალური ტექნოლოგიური კორპორაცია სპეციალურ შეთანხმებას დებს ადგილობრივ ორგანიზაციასთან და საკუთარი პროექტების განხორციელებისას იყენებს მის კომპეტენციას. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობის მსგავს პრაქტიკას „მაიკროსოფტ“ იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავს, რაც „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაზე მომუშავე წარმატებული ორგანიზაციის აღიარებას ნიშნავს.

თავის მხრივ, „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ გაფორმებული შეთანხმებით საშუალება ეძლევა ჩაერთოს პარტნიორი კორპორაციის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა გლობალურ პროექტში და საკუთარი წვლილი შეიტანოს ტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარების საქმეში.(გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) „შეიძლება ითქვას, რომ დღეს საფუძველი ჩავეყარეთ თანამშრომლობის უპრეცედენტო მოდელს, როდესაც ისეთი კორპორაცია, როგორც „მაიკროსოფტი“, თანხმდება გამოიყენოს ადგილობრივი ორგანიზაციის, ამ შემთხვევაში „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“, რესურსი და კომპეტენცია საკუთარი გლობალური პროექტების განცხადებების პროცესში. ეს ნიშნავს, რომ „მაიკროსოფტი“ აღიარებს ჩვენ მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის მაღალ ხარისხსა და უნიკალურობას, ასევე ჩვენი თანამშრომლების მაღალ კომპეტენციას და სურს საკუთარ პროექტებში გამოიყენოს ამ პროდუქტებზე მუშაობის ჩვენეული გამოცდილება. აქ საუბარია ჩვენი სააგენტოს მიერ შექმნილ ისეთ პლატფორმებზე, როგორებიცაა ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ტექნოლოგიური გადაწყვეტა - მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE, ერთიანი სავაჭრო ქსელი (TFS), მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მოდელი და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი პროექტები ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. ზოგადად, ასეთი ფორმის თანამშრომლობა ჩვენთვის შესაძლებლობაა, რომ საქართველოში შექმნილი ელექტრონული მმართველობის ტექნოლოგიური გადაწყვეტები გლობალურ ბაზარზე გავიტანოთ და დავამკვიდროთ“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

„მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კორპორაცია „მაიკროსოფტთან“ თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2013 წელს მხარეებს შორის გაფორმდა მემორანდუმი კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, 2014 წელს კი „მაიკროსოფტმა“ მონაცემთა გაცვლის სააგენტო მნიშვნელოვან პარტნიორთა შორის დაასახელა და წარმატებული თანამშრომლობის შესახებ სპეციალური ვიდეორგოლიც მოამზადა.

„კორპორაცია „მაიკროსოფტი“ მხარს უჭერს საქართველოს განვითარებას, დღევანდელი შეთანხმება კი სწორედ ამის ნათელი მაგალითია. ჩვენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მრავალი კომპანიისა და ინსტიტუციისთვის სანდო პარტნიორს წარმოვადგენთ და მომავალშიც გავაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას. ვთვლით, რომ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვან როლს ითამაშებს „მაიკროსოფტის“ სერვისებთან დაკავშირებული სხვადასხვა გლობალური პროექტის წარმატების საქმეში“, - **ლორან დანიკანი**, „მაიკროსოფტის“ კორპორაციული სერვისების დირექტორი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.



საქართველოში ერთიანი ბიზნეს მომსახურების სივრცე - „ბიზნეს სახლი“ იქმნება

„ბიზნეს სახლი“ ეს არის სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის სრულიად ახლებური მოდელი, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** ორთაჭალაში განაცხადა, სადაც „ბიზნეს სახლის“ პროექტის პრეზენტაცია და კაფსულის ჩადების ცერემონია გაიმართა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, იწყება ოთხპუნქტიანი რეფორმის ერთ-ერთი მიმართულების - მმართველობითი რეფორმის ნაწილის უმნიშვნელოვანესი პროექტის - ერთიანი ბიზნეს სივრცის შექმნის პროცესი.

„ბიზნეს სახლი ეს არის სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის სრულიად ახლებური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი სერვისის, რომელსაც დღეს ბიზნესი, იურიდიული პირები იღებენ, ერთიან სივრცეში, ერთიან ელექტრონულ პლატფორმაზე მიწოდების პროექტს. ეს პროექტი განსაზღვრულია იმისთვის, რომ დღეს სხვადასხვა სამინისტროში, სახელმწიფო უწყებებში გაფანტული 600-ზე მეტი სერვისი მიწოდებული იქნას ერთი ჭერის ქვეშ, ერთი ფანჯრის პრინციპით“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა (გაგრძელება გვ. 3).



(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) მისივე თქმით, ამ პერიოდის განმავლობაში აღიწერა ყველა სერვისი, რომელიც დღეს სჭირდება ბიზნესს, რომელსაც დღეს ბიზნესი იყენებს სახელმწიფოს მხრიდან და ეს არის 600-ზე მეტი მომსახურება.

”ეს არის ფაქტობრივად რევოლუციური პროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ლანდშაფტს. თვისობრივად გააუმჯობესებს მიწოდების ხარისხს და შეამცირებს მომსახურების დროს და დანახარჯებს მომსახურებაზე”, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. „ბიზნეს სახლი“ მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების კონცეფციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

„მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მალაიზიის სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების საბჭოს დელეგაცია ესტუმრა



გამოცდილება, რომელიც სააგენტოს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული მიმართულებებით დაუგროვდა.

„მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი სააგენტოს გამოცდილების გაზიარებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ინტერესდებიან. დღეს ჩვენს მალაიზიელ კოლეგებს გავაცანით სააგენტოს მუშაობის სფეროები და ყველა ის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების განვითარებასთან“, - განაცხადა ნიკოლოზ გაგნიძემ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მალაიზიის დელეგაცია ესტუმრა. სააგენტოს წარმომადგენლებმა სტუმრებს დეტალურად გააცნეს საქართველოში ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის, ელექტრონული სერვისებისა და ღია მმართველობის მიმართულებით განხორციელებული პროექტები, ასევე გაუზიარეს ის

მალაიზიელი კოლეგები ასევე გაეცნენ საქართველოში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარების ტენდენციებს და ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ონლაინ პლატფორმას - მოქალაქის პორტალს (MY.GOV.GE).

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებში მორიგი ტრენინგი ჩაატარა

მიმდინარე წლის 26-30 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებში მორიგი 5 დღიანი ტრენინგი ჩაატარა.

თბილისის იუსტიციის სასწავლო ცენტრში გამართულ ტრენინგს კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების წარმომადგენლები, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერები ესწრებოდნენ.

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითად აქცენტებსა და განმარტებებს, შესაბამის საკანონმდებლო ბაზას, ორგანიზაციის კავშირს ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ძირითად ეტაპებს, მათი დანერგვისა და აუდიტის პრინციპებს (გაგრძელება გვ. 4).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 3) თეორიული ნაწილის გავლის პარალელურად, მსმენელებმა პრაქტიკული სავარჯიშოებიც შეასრულეს, რამაც სატრენინგო პროგრამა უფრო ეფექტური გახადა.

ტრენინგის ბოლოს ჩატარდა ტესტირება, რომლის შედეგების საფუძველზეც „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ შესაბამის სერტიფიკატებს გასცემს.



საჯარო რეესტრმა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა 3 მუნიციპალიტეტში დაანერგა



იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დაანერგვა 3 მუნიციპალიტეტში დაასრულა. სისტემა რეალურ რეჟიმში უკვე ფუნქციონირებს დუშეთის, მცხეთისა და თიანეთის საკრებულოებსა და გამგეობებში. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მუნიციპალიტეტში სისტემის დაანერგვასთან დაკავშირებით ეტაპობრივად თანამშრომელთა ტესტირება და ტრენინგიც ჩატარდა.

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მმართველობის დაანერგვისა და განხორციელების პროცესში უდიდეს როლს შეასრულებს. მისი დახმარებით გამგეობებს და საკრებულოებს თანამშრომლებთან, მოქალაქეებთან თუ სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გაუმარტივდება. სისტემა მუნიციპალიტეტებს ფუნქციების ეფექტურად შესრულებაში დაეხმარება, მათი საქმის წარმოების პროცესს კი სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანს. კერძოდ, ქაღალდის დოკუმენტები მთლიანად ელექტრონულით ჩანაცვლდება, იფუნქციონირებს მონაცემთა ერთიანი ბაზა, შემცირდება მოქალაქეთა მომსახურების დრო, სერვისების მიწოდების პროცესი კი სრულყოფილი და ეფექტური გახდება, ამოქმედდება დოკუმენტების ელექტრონული არქივი, მოქალაქეთა განაცხადების შესრულებისა და კონტროლის მექანიზმები. ამას გარდა, პროგრამის ელექტრონული ბაზის დახმარებით, გამგეობებს შორის დოკუმენტების მიმოცვლა სრულად ავტომატიზებული გახდება, რაც შეამცირებს მათ ფინანსურ და დროით ხარჯებს, საქმიანობას კი კიდევ უფრო ეფექტურს გახდის.

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა სერვისების მიღების პროცესს მნიშვნელოვნად გაამარტივებს მოქალაქეებისთვისაც. პროგრამის დახმარებით მათ საშუალება მიეცემათ, ინფორმაცია უწყებაში დაცული მონაცემების შესახებ ელექტრონული განაცხადით, ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე, ინტერნეტით მოითხოვონ და პასუხიც ასევე ელექტრონულად მიიღონ, პროგრამაში მოიძიონ მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტი და ამ დოკუმენტთან დაკავშირებით უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სულ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა ქვეყნის 8 რეგიონულ მუნიციპალიტეტში, დედაქალაქის მერიასა და თბილისის 10 გამგეობაშია დაანერგილი.

GITI 2016



საქართველოს IT ინოვაციების ღონისძიება

GITI 2016



პარტნიორობა კონკურენციის, ინოვაციებისა და
კიბერუსაფრთხოებისთვის

კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების
განვითარების მე-9 რეგიონული კონფერენცია/დაჯილდოების
ცერემონია

ორგანიზატორები:

ICT ბიზნეს საბჭო
სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“

10-11 ნოემბერი, 2016
„პოტელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი“
თბილისი, საქართველო

სარეგისტრაციო ფორმა A: დამსწრეების, გამომსვლელებისა და გამოფენისთვის: <https://form.jotform.com/62621138180954>

სარეგისტრაციო ფორმა B: IT პროექტებისთვის: <https://form.jotform.com/62622038425956>

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ
საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ
გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება
მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში
მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი
ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე:
www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს
საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ